PUBLICATION OF THE SOURCE წყაროს პუბლიკაცია

DOCUMENTS ON THE ACTIVITIES OF THE RED CROSS SOCIETY IN GEORGIA IN THE 20S OF THE 20TH CENTURY

The texts were prepared for publication and a foreword was added by A. Kokhreidze and N. Mirianashvili

დოკუმენტები წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობის შესახებ საქართველოში XX საუკუნის 20-იან წლებში

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს და წინასიტყვაობა დაურთეს ა. კოხრეიძემ და ნ. მირიანაშვილმა

Archil Kokhreidze
Doctor of History. Senior Research Fellow at the Institute of History and Ethnology at the Ivane Javakhishvili Tbilisi State University.Tbilisi, Georgia.
ORCDID: 0000-0001-5938-1109
(+995) 593 25-37-38; Markizarchil@gmail.com

Natela Mirianashvili
Doctor of Historical Sciences. The LEPL National Archives of Georgia
Head of the Department of Contemporary History at the Central Archives.
Tbilisi. Georgia.
ORCDID: 0000-0002-5087-0042
(+995) 577340583; natia.mirianashvli @gmail.com

Foreword

Currently, when Georgia is striving to maintain a worthy place in the world community, to develop its economy, to establish close business relationships with different countries and to attract investors and tourists to the country, it would be very important, from our point of view, to find and publish archival material about the activities of the Red Cross Society in Georgia in the 20s of the 20th century. The documents on this topic are kept in the Central Archive of Contemporary History at the National Archives of Georgia.

Studying this material gives us the opportunity to get acquainted with processes that took place in Georgia in the first years after its occupation. For ideological reasons, Soviet historians paid little attention to these questions. These documents will enable us the better understanding of the research problem and its development phases, as well as of current legislation of this time. It allows us to establish a comparative characteristic of how the activity of the Red Cross Society was regulated in Soviet times and what role the central government of Soviet Russia played in it.

The Red Cross International Humanitarian Organization was founded in 1863 by Swiss citizen Henry Dunant. A year earlier, he had published a book called "A Memory of Solferino", in which he advocated the creation in peacetime and in

all countries of volunteer groups to provide the necessary medical care to soldiers wounded in hostilities. On February 17, 1863, five Swiss citizens - H. Dunant, G. Moynier, H. Dufour, L. Appia and T. Maunoir got together and established a committee to consider the above mentioned initiative of A. Dunen. The members of the committee approved Dunen's initiative to create a society for providing medical assistance to soldiers wounded in battles.

One of the main goals of this meeting was also the adoption of a single distinctive emblem for the Society of Red Cross, the use of which would be supported by law. The emblem was supposed to be simple and easy to spot from afar. Everyone would know it and it had to be acceptable to both allies and opponents.

On October 26, 1863, the first international conference was held. It was attended by delegates from 14 countries. 10 resolutions were adopted, which were supposed to regulate the creation of societies designed to help wounded soldiers. A Red Cross emblem (the red cross on a white background) was also adopted at the conference to distinguish the organization from the others. On August 22, 1864, on the initiative of Henry Dunant, a convention was signed in Geneva, which provided for the granting of emergency aid to the wounded and maimed soldiers in war battles. Furthermore, the activities of the Red Cross also included the peaceful population. In this convention it was pointed out that doctors and medical staff of the organization bear a universal distinctive mark. As such, as stated above, there was a symbol depicting the Red Cross on the white background (an inversion of colors of the national flag of Switzerland).

In 1906, in the Ottoman Empire, by analogy with the Red Cross, a charitable organization, the Red Crescent, was established, which carried out its activities in Muslim countries. Later, the activities of Red Crescent also included the civilian population.

After Georgia declared its state independence, the establishment of the Red Cross Society was, among others, one of the most important issues intended to consolidate the newly established Georgian state. The initiator of this was the well-known Georgian doctor Michael Zandukeli, who at that time was in charge of dissolving the Russian Red Cross in Georgia. Zandukeli then addressed in writing to the chairman of the Georgian government N. Zhordania and described in detail the need to create a Red Cross Society in Georgia. The government considered the proposal of Mikhail Zandukeli and on July 16, 1918 adopted a resolution on the creation of the Georgian Red Cross Society. The company was to take over the Russian Red Cross assets left in Georgia.

The Georgian government also commissioned M-Zandukeli to draft new statute, charter and regulations, as well as to find the means and sources that would ensure the successful functioning of the Georgian Red Cross. The government considered the Red Cross Society as an organization entitled to provide assistance to the sanitary-medical unit of the Georgian army. The society had to conduct its activities according to the principles which gave these societies in different countries the opportunity to set up a unified international committee. After Soviet power was established in Georgia, Georgia's new government - the Revolutionary Com-

mittee - on March 4, 1922 issued Decree N 164 on the reorganization of the Georgian Red Cross.

From now on, the Georgian Red Cross Society ceases its independent existence. It is subordinate to the People's Commissariat of Health Care. On May 9, 1928 the Central Executive Committee of All Georgia and the Council of Commissars of the Georgian Soviet Socialist Republic issued a decree to change the name of the society. The name Society of the Red Cross of the Soviet Socialist Republic of Georgia was replaced by the name Society of the Red Cross and Red Crescent of All Georgia. As a symbol, the society was allowed to use the rectangular red cross and the red crescent on the white background.

The Fund of the Georgian Red Cross Society is kept in the Central Archive of Recent History. In various other archival funds, you can also find various materials about the activities of this society. We decided to select such documents that clearly would show how the activities of the Georgian Red Cross developed in the first third of the 20th century. Below you can see some of these documents.

When transmitting the text, diplomatic and scientific-critical methods were used. The diplomatic method implies the exact reproduction of a number of elements that the original document contains. These are elements such as form, personal names, transcription, geographic name, etc. The scientific-critical method means preserving the stylistic and linguistic features of the document while observing modern spelling and punctuation rules.

We believe that information obtained as a result of studying the above documents will arouse great interest among the general public. It must be said here that most of the documents have never been published before. But now its publication will enrich Georgian historical science, as well as all scientific potential of Georgia with new knowledge and facts.

Results of such research will benefit not only professionals, but also the Georgian state structures, diplomats and all citizens of the country who are interested in history. They will also be interesting for representatives of the younger generation. Research will contribute to increasing public interest in history and creating a new impetus for the development of new research problems. It will also encourage the choice of dissertation topics and their implementation.

Key words: Georgia, International, Red Cross, Society, Crescent.

არჩილ კოხრეიძე
ისტორიის დოქტორი. ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ივ.ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ -თანამშრომელი. თბილისი,
საქართველო.
ORCDID: 0000-0001-5938-1109
(+995) 593 25 37 38; Markizarchil@gmail.com

ნათელა მირიანაშვილი
ისტორიის დოქტორი
საქართველოს ეროვნული არქივი. უახლესი ისტორიის ცენტრალური
არქივის
განყოფილების უფროსი. თბილისი, საქართველო.
ORCDID: 0000-0002-5087-0042
(995) 577 34 05 83; natia.mirianashvli @gmail.com

წინასიტყვაობა

დღეისათვის, როდესაც საქართველო დამოუკიდებლად ცდილობს დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოში, გააძლიეროს ეკონომიკა, დაამყაროს მთელ რიგ ქვეყნებთან მჭიდრო საქმიანი კავშირები, მოიზიდოს ინვესტორები და ტურისტები, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ისეთი საარქივო მასალის გამოვლენა-გამოქვეყნება, რომელიც ასახავს საქართველოს წითელი ჯვრის ისტორიას მეოცე საუკუნის 20-ანი წლებში. აღნიშნულ თემაზე დოკუმენტები დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივში. მათი გაცნობა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ საქართველოს ოკუპაციის პირველ წლებში მიმდინარე პროცესები. იდეოლოგიიდან გამომდინარე საბჭოთა ისტორიოგრაფია ნაკლებ ყურადღებას იჩენდა ამ საკითხებთან მიმართებაში.ეს დოკუმენტები გვეხმარება გავაშუქოთ საკვლევი პრობლემის განვითარების ძირითადი ეტაპები, შევისწავლოთ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა, შედარებითი დახასიათება მოვახდინოთ როგორ რეგულირდებოდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობა საბჭოთა პერიოდში და როგორი იყო ცენტრის (ანუ საკავშირო მთავრობის) როლი საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებზე.

წითელი ჯვრის საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციას საფუძველი ჩაეყარა 1863 წელს შვეიცარიელი მოქალაქის ანრი დიუნენის ინიციატივით, ერთი წლით ადრე მან გამოაქვეყნა წიგნი „სოლფერინოს სუვენირი“, სადაც ითხოვდა მშვიდობიან დროს ყველა ქვეყანაში მოხალისეთა ჯგუფის შექმნას, რომლებიც აღმოუჩენდნენ დახმარებას საომარ მოქმედებებში დაჭრილ ჯარისკაცებს. 1863 წლის 17 თებერვალს შეიკრიბა ხუთი წევრისაგან (შვეიცარიელი მოქალაქეები ა. დიუნანი, ჰ. მუანიე, გ. დიუფერი, ლ. აპია და ტ. მონუარი) შემდგარი კომიტეტი ანრი დიუნენის წინადადების განსახილველად. კომიტეტის წევრები შეთანხმდნენ დიუნანის წინადადებაზე სამოქალაქო დახმარების საზოგადოებების შექმნის თაობაზე.

შეხვედრის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ერთიანი განმასხვავებელი ემბლემის მიღება, რომლის გამოყენებაც კანონით იქნებოდა მხარდაჭერილი, ემბლემა უნდა ყოფილიყო მარტივი, შორიდან აშკარად ხილული, ყველასთვის ცნობილი და ერთნაირად მისაღები როგორც მოკავშირეებისთვის, ასევე მტრებისთვის.

1863 წლის 26 ოქტომბერს დაინიშნა პირველი საერთაშორისო კონფერენცია. მას 14 ქვეყნის დელეგატი ესწრებოდა. მიღებულ იქნა ათი რეზოლუცია, რომელიც არეგულირებდა საზოგადოებების შექმნას დაჭრილი ჯარისკაცების დასახმარებლად. კონფერენციამ ასევე მიიღო წითელი ჯვრის ემბლემა თეთრ ველზე, როგორც ერთი განმასხვავებელი ემბლემა. 1864 წლის 22 აგვისტოს ჟენევაში ანრი დიუნანის წინადადებით ხელი მოეწერა კონვენციას ბრძოლის ველზე დაჭრილთა და დასახიჩრებულთა პირველადი დახმარების თაობაზე. შემდგომში ამ ორგანიზაციის საქმიანობა მშვიდობიან მოსახლეობაზეც გავრცელდა. ამავე კონვენციაში მითითებული იყო, რომ ექიმებს და სამედიცინო პერსონალს უნივერსალური განმასხვავებელი ნიშანი ჰქონოდათ. ასეთ სიმბოლოდ, როგორც უკვე ავღწშნეთ შეირჩა წითელი ჯვარი თეთრ ფონზე (შვეიცარიის დროშის ფერების ინვერსია).

1906 წელს ოსმალეთის იმპერიაში წითელი ჯვრის ანალოგიით შეიქმნა საქველმოქმედო ორგანიზაცია წითელი ნახევარმთვარე მუსულმანური ქვეყნებისათვის.

შემდგომში ამ ორგანიზაციების საქმიანობა მშვიდობიან მოსახლეობაზეც გავრცელდა.

საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სხვა მნიშვნელოვან საკითხთა შორის რომელიც ხელს შეუწყობდა დამოუკიდებლობის განმტკიცებას იყო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსება. ეს საქმე ითავა ექიმმა მიხეილ ზანდუკელმა, რომელიც დაკავებული იყო რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების საქმეების ლიკვიდაციით. მ. ზანდუკელმა მოხსენებით მიმართა მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას, სადაც დაწვრილებით აღწერა წითელი ჯვრის დაარსების საჭიროება საქართველოში. მთავრობამ განიხილა მიხეილ ზანდუკელის წინადადება და 1918 წლის 16 ივლისს მიიღო დადგენილება საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების თაობაზე, რომელსაც უნდა ჩაებარებინა საქართველოში დარჩენილი რუსეთის წითელი ჯვრის ქონება. მთავრობამ აგრეთვე დაავალა მ. ზანდუკელს შეემუშავებინათ ახალი წესდება, დებულება, ინსტრუქციები და გამოეძებნათ ის საშუალებანი და წყაროები, რომელნიც უზრუნველყოფდნენ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების არსებობას. საქართველოს წითელ ჯვარს საქართველოს მთავრობა განიხილავდა სამხედრო-სანიტარულ ნაწილის დამხმარე საზოგადოებად, ის ხელმძღვანელობდა იმ პრინციპებით, რომელებიც სხვადასხვა სახელმწიფოს წითელი ჯვრის საზოგადოებებს ერთ საერთაშორისო კომიტეტში აერთიანებდა. გასაბჭოების შემდეგ 1922 წლის 4 მარტს საქართველოს რევკომმა მიიღო დადგნილება N164 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების რეორგანიზაციის შესახებ. საქართველოს წითელი ჯვარი წყვეტს დამოუკიდებელ არსებობას და ექვემდებარება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

1928 წლის 9 მაისის დადგენილებით საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდება - საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება შეიცვალა სახელწოდებით - სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება და უფლება მიეცა სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევრმთვარის საზოგადოების ემბლემად გამოეყენებინა სწორკუთხა წითელი ჯვრისა და წითელ ნახევარმთვარის ნიშანი თეთრ ველზე.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში დაცულია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ფონდი, ასევე საზოგადოებაზე მასალები გაფანტულია სხვადასხვა ფონდებში. ჩვენ შევეცადეთ შეგვერჩია ისეთი დოკუმენტები, რომლებიც თვალნათლივ გვიჩვენებენ თუ როგორ ვითარდებოდა წითელი ჯვრის საზოგადოების ისტორია XX საუკუნის პირველ მესამედში. ქვემოთ მოგვყავს ამ დოკუმენტების მცირე ნაწილი.

პუბლიკაციაში გამოყენებულია საისტორიო და არქეოგრაფიული მეთოდები; არქეოგრაფიული მეთოდს განსაზღვრავს კვლევის მიზანი და მის ფარგლებში გამოვლენილი და თემატურად შერჩეული დოკუმენტები. გამოვლენილია და არსებული არქეოგრაფიული და პალეოგრაფიული წესების დაცვით შესწავლილია სხვადასხვა ტიპის დოკუმენტები, თითოეულ დოკუმენტზე შედგენილია საინფორმაციო ჩანაწერი: ჩანაწერი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: წყაროს შინაარსი, შედგენის თარიღი და ადგილი, ავტორი, ტექსტის გადმოცემის თავისებურებანი; დოკუმენტების შერჩევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ისტორიულობისა და ობიექტურობის პრინციპები. ისტორიულობის პრინციპი მოითხოვს დოკუმენტის, როგორც კონკრეტულ ისტორიული ეპოქის პროდუქტის განხილვას.

ტექსტის გადმოცემისას გამოყენებულია დიპლომატიური და სამეცნიერო-კრიტიკულ ხერხსები; დიპლომატიური ხერხი გულისხმობს დოკუმენტის დედანში მოცემული მთელი რიგი ელემენტების - ბლანკი, საკუთარი სახელები, ტრანსკრიპციები, გეოგრაფიული ტერმინები და სხვ. ზუსტ გადმოცემას, ხოლო სამეცნიერო-კრიტიკული ხერხი გამოიხატება დოკუმენტის სტილისტური და ენობრივი თავისებურების შენარჩუნებით თანამედროვე ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის დაცვაში.

ვვარაუდობთ, რომ კვლევის შედეგად თავმოყრილი დოკუმენტებიდან მიღებული ინფორმაცია დააინტერესებს საზოგადოების ფართო წრეებს, ვინაიდან ფაქტიურად დღემდე მასალათა უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. ეს კი ქართულ საისტორიო მეცნიერებას, მთლიანად საქართველოს ინტელექტუალურ პოტენციას გაამდიდრებს ახალი ცოდნით, ახალი ფაქტობრივი მასალით. ასეთი კვლევის შედეგები დაეხმარება არა მარტო სპეციალისტებს, არამედ დახმარებას გაუწევს საქართველოს სახელისუფლო სტრუქტურებს, დიპლომატებს, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ყველა მოქალაქეს. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება ახალგაზრდა თაობისათვის - ეს გააძლიერებს ინტერეს ისტორიისადმი, ხელს შეუწყობს ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრობლემების ფორმირებას, სადისერტაციო ნაშრომების შერჩევას და მათ განხორციელებას.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, საერთაშორისო, წითელი ჯვარი, საზოგადოება ნახევარმთვარე.

დოკუმენტები:
N1

1922 წლის 4 მარტი. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტის დადგენილება N164 საქართველოს წითელი ჯვრის რეორგანიზაციის შესახებ

რადგან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოქმედებას საერთაშორისო მასშტაბით დიდი მნიშვნელობა აქვს, მეტადრე ბრძოლისათვის სტიქიურ უბედურებასთან, როგორიც არის მაგალითად: შიმშილობა, ეპიდემია, მალარია და სოციალური ავადმყოფობანი, - ხოლო, რადგანაც საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას, რომლის მოქმედება დროებით შეჩერებული იყო, არ შეეძლო თავისი მოქმედება მაქსიმუმამდე მიეყვანა იმ სარგებლობისთვის, რომელსაც ანიჭებს ჟენევის 1863 წლის კონვენცია და შემდეგ შემოსული დებულებანი, - საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციური კომიტეტი საქართველოს არსებული წითელი ჯვრის საზოგადოების რეორგანიზაციისათვის-ადგენს.

1. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მოქმედებს ჟენევის 1863 წლის კონვენციისა და მის განსავითარებლად შემდეგში გამოსული კონვენციების საფუძველზე. იგი შედის წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებათა კავშირში და სხვა ქვეყნების ამგვარსავე საზოგადოებებთან უშუალოდ იჭერს ურთიერთობას.

2. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მფარველობას გაუწევენ სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის უმაღლესი დაწესებულებანი; თავის მოთხოვნილებათ და საჭიროებათა შესახებ იგი წარუდგენს შუამდგომლობას მთავრობას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მეშვეობით.

3. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება ომიანობისა და სახალხო უბედურების დროს ხელს შეუწყობს ყველა მის განკარგულებაში ნაქონი საშუალებით, მთავრობის სამკურნალო-სამინისტრო ორგანოებს, ავადმყოფ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა და სხვა და სხვა უბედურებისაგან დაზარალებულ მოსახლეობის დახმარების საქმეში.

4. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას მინიჭებული აქვს სრული ავტონომია და დამოუკიდებლობა იმ საგნებში, რომლიც შეეხება მის ორგანიზაციას და აგრეთვე მის მონაწილეობას მთავრობისა და საზოგადოებრივ ღონისძიებათა განხორციელებაში, ხოლო იმყოფება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კონტროლის ქვეშ და თავის მოქმედებას შეუთანხმებს ამ კომისარიატის საერთო გეგმასა და იმ პირთა და დაწესებულებათა განკარგულებას, რომელთაც მთავრობის მიერ დავალებული ექნებათ ხელმძღვანელობის გაწევა საომარ მოქმედების ასპარეზზე და სახალხო უბედურების სამკურნალო დახმარების საქმისთვის. მეორეს მხრით საზოგადოებას აქვს ყველა უფლება იურიდიული პიროვნებისა.

5. საქართველოს არსებული წითელი ჯვრის საზოგადოების დემოკრატიულ საფუძველზე მოსაწყობად, - ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა და თვით აღნიშნულმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს ყოველგვარი სასწრაფო

ღონისძიება, რათა საზოგადოების წევრებად რაც შეიძლება მრავლად ჩაეწერნენ პროლეტარული ორგანიზაციები, კავშირები და დაწესებულებანი.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ. თავმჯ. მოადგ. ბ. კვირკველია

ჯანმრთელობის სახ. კომისარი გ.კუჭაიძე

რევ. კომიტ. მდივანი ალ. სარალიძე

1922წ., მარტის 4.

ქ. ტფილისი.-სასახლე.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (შემდეგში სუიცა), ფონდი 281,ანაწერი 1, საქმე N210

N 2

1921 წლის 19 სექტემბერი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების გამგეობის წევრის მ. ჩხეიძეს მოხსენება გაგზავნილი საქართველოს რევკომის თავმჯდომარისადმი საზოგადოებაში შექმნილი რთული მდგომარეობის შესახებ

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

საზოგადოდ საერთაშორისო წითელ ჯვრის საზოგადოებათა ყოფა-ცხოვრება და მოქმედების წარმოება ეყრდნობა ხოლმე იმ თანხებს, რომელიც მათ შესდით კერძო შეწირულებებისგან, წევრთა წილისგან და სახელმწიფოთ მართვა-გამგეობის დახმარებისგან. ასეთივე იყო მდგომარეობა საქართველოს წითელი ჯვრის ყოფა-ცხოვრებისა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ხოლო ამ ჟამად წითელი ჯვრის საზოგადოების მდგომარეობა ძალიან სახიფათო მდგომარეობაში იმყოფება უსახსრობის გამო, რომ მთავრი გამგეობა მოვალედ სთვლის თავის თავს მოგახსენოთ შემდეგი: მიუხედავად იმისა რომ წითელ ჯვარმა შეწყვიტა თავისი ნორმალური მოქმედება უსახსრობის გამო, მას მაინც კისერზე აწევს დიდი ხარჯები დაწესებულების შესანახად და ეს ხარჯები კი კმაყოფილდება იმ შემოსავლით, რომელსაც გამგეობა ჰქმნის საწყობებიდან ნივთების გაყიდვით და გაცვლა-გამოცვლით. კვლავ ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ერთიც იქნება ნივთებიც გამოილევა და საზოგადოების არსებობასაც ბოლო მოეღება.

ხოლო რათა წითელმა ჯვარმა აწარმოოს ქვეყნისთვის სასარგებლო ნაყოფიერი მუშაობა, აუცილებელი საჭიროა მთავრობამ დახმარება აღმოგვიჩინოს და საქმე იმ მდგომარეობაში ჩააყენოს, რომელშიც ეს საზოგადოება სათანადო სარგებლობას მოუტანს სახელმწიფოს. ყველასათვის ცხადია, რომ სურსათ-სანოვაგე მწვავე კრიზისის დროს , როცა არა თუ ვოლგის განაპირა გუბერნიები საშინელ შიმშილს განიცდიან, არამედ, როცა იგივე შიმშილი გადაგვარებას უქადის მთელი რუსეთისა და საქართველოს მუშათა და გლეხთა მოსახლეობას, ყოვლად შეუძლებელი და შეუწყნარებელია, რომ წითელი ჯვრის საზოგადოება გულხელდაკრეფილი იყოს და თვის საჭირო მოქმედებას არ აწარმოებდეს.

მთავრ გამგეობას გადაწყვეტილი აქვს: 1/ შემწეობა აღმოუჩინოს რუსეთის დამშეულ ხალხს, 2/ გახსნას ქალაქში სასადილო 30 ბავშვისთვის და

3/ განაახლოს სათნოების დების კურსები, ხოლო ამისთვის საჭირო თანხის გაღება გამგეობას არ შეეძლება, ვიდრე მთავრობა არ გაუჩენს მას საჭირო წყაროს, ხოლო ასეთ წყაროდ გამგეობას მიაჩნია რკინის გზისა და გასართობ დაწესებულებათა ბილეთების წითელი ჯვრის სასარგებლოდ დაბეგვრა, რომელიც ადრე ასაზრდოებდა ამ საზოგადოებას.

გამგეობა ფიქრობს, რომ საერთოდ რკინის გზა და გასართობ დაწესებულებათა ბილეთების დაბეგვრა რომ 5%-ით განისაზღვროს მას შეძლება მიეცემა განახორციელოს ყველა ის განზრახული ზომები, რომელნიც საიმედო ნაყოფს გამოიღებენ, ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

წითელი ჯვრის მთავარი გამგეობის დავალებით წევრები:
მარ. ჩხეიძე (ხელმოწერილია)
ი. ელიაშვილი (ხელმოწერილია
სუიცა, ფონდი 281, ან. 1 , საქმე N77

N3

1924 წლის 10 მაისი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გ. ნუცუბიძის წერილი გაგზავნილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი საზოგადოებისათვის შეღავათების მიცემის თაობაზე

განსაკუთრებული გარემოებები, გაუთვალისწინებელი მოვლენები და მათ მიერ შექმნილი მწვავე ფინანსური მდგომარეობა გვაიძულებს მოგმართოთ შემდეგი განცხადებითა და გთხოვოთ, რათა შესაჩერებლად უნუგეშო პირობების გაღრმავებისა - აქ აღძრული შუამდგომლობა განიხილოთ სასწრაფოთა და მოგვცეთ დაკმაყოფილება:

პრესიდან, ჩვენი გამოცემებიდან, თქვენდამი ჩვენ მიერი წარმოგზავნილ მოხსენებებიდანა და რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებთაგან გადმოგზავნილი მხურვალე მადლობის გამოცხადებიდან წითელი ჯვრისადმი, თქვენთვის თვალსაჩინოა უაღრესი მნიშვნელობა იმ ღვაწლისა, რომელსაც ეწევა წითელი ჯვარი; ცხადია, რომ ავტორიტეტი და რეპუტაცია მან მოიპოვა ფართე მასებში.

ჩვენ მიერ წარმოებული მუშაობა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას დიდ შვებას აძლევს ჩვენ ხალხს, გლეხობასა და მუშებს, მაღლა სწევს ჩვენი ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკური მოკავშირეს პრესტიჟს უწინდელ მცონარე, საქველმოქმედო საზოგადოების მაგიერ-ახლად უაღრესად მნიშვნელოვან დაწესებულებების შექმნით და შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ არცერთ მოკავშირე რესპუბლიკას არ აბადია ასეთი ნაყოფიერი მოსაქმე ორგანიზაცია, როგორც არის საქართველოს წითელი ჯვარი; საზღვარ-გარეთ ჩვენი დაწესებულება სარგებლობს განსაკუთრებულის ყურადღებით, თანაგრძნობითა და თუ გნებავთ გავლენითაც და ყოველივე ამაში ურევია ჩვენი ამხანაგთა, თანამშრომელთა და ორგანიზაციათა ოფლი და შრომა, ღვაწლი და განუზომელი უანგარო შრომა და აი ყოველივე ამას მოელის საფრთხე თუ ხელისუფლება ამჟამად არ დაგვეხმარა.

აქამდის ხელისუფლებისადმი დახმარებისათვის (თანხის მოცემის

მხრივ) ჩვენ არ მიგვიმართავს, თუმცა იყო ასეთივე მდგომარეობა, ხოლო დღევანდელი ჩვენი ხვედრი-კი იმდენად მწვავეა, რომ მთავრობის დაუხმარებლად ჩვენი არსებობის დღევანდელის სახით გადარჩენა არ შეიძლება.

საქმე ის არის, რომ ჩვენ შეგვიძლია გავაუქმოთ ჩვენი ორგანიზაციები და ვიარსებოთ, მაგრამ ეს პირდაპირ მიუტევებელი დანაშაული იქნება.

თქვენ მოგეხსნებათ, რომ წითელი ჯვარი თავს ინახავს მის მიერ მიკვლეულ წყაროებითა და იმ შემთხვევათა საშუალებებით, რომელსაც მთავრობა უპირატესობის სახით ანიჭებს წითელ ჯვარს (კარტის შემოსავალი, კინო-თეატრების ბილეთებიდან ანარიცხების აღება და სხვა), მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვა და სხვა მიზეზთა გამო, ზაფხულის მოახლოვების გამო, კარტის თამაში თითქმის შეწყდა, კინო-თეატრები ისვენებს და იქიდან შემოსავალი შემცირდება და თან წითელ ჯვარს სამწუხაროთ ძველი დავალიანება აქვს, საიდანაც იგი თავისი საშუალებით ვერ განთავისუფლდება, ხოლო დაწყებულ საქმეს კი გაძღოლა უნდა:

1. გაცხოველებული მუშაობა ა ჭ ა რ ი ს ტ ა ნ შ ი:

სამი საექიმო პუნქტი მაზრაში, ერთი აფთიაქი ბათუმში და ამბულატორია გლეხთა სახლში, მალარიასთან ბრძოლის მიზნით;

2. ახლად დაარსებული ოთხი საექიმო რაზმები გადამდებ სენთან მებრძოლი ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი ;

3. საექიმო პუნქტი ს ა მ ხ რ ე თ - ო ს ე თ შ ი (ჯავა), აფთიაქითურთ;

4. აფთიაქი და სამალარიო - ვენერიული ამბულატორია ქ უ თ ა ი ს შ ი ;

5. საექიმო პუნქტი და 50 საწოლიანი საავადმყოფო გ ო რ შ ი;

6. საექიმო პუნქტები გ უ რ ი ა შ ი (ორი მალარიის წინააღმდეგ მებრძოლი);

7. საექიმო რაზმები იმერეთში: სოფელი ბაში, კაცხი და ორპირი;

8. განყოფილებები: ფოთში, ჭიათურაში, სენაკში, სიღნაღში, თელავში, დუშეთში და სხვა.

9. საექიმო დამხმარე ექსპედიცია ს ვ ა ნ ე თ ში ;

10.საექიმო პუნქტი აფთიაქითურთ გადმოსახლებულ უ დ ი ნ თ ა შორის;

11.სამალარიო რაზმი კ ა ხ ე თ შ ი ალაზნის გაღმა;

12.საექიმო პუნქტები: ნატახტარში და მანავში (ქართლი);

13.ცენტრალური ამბულატორია თ ბ ი ლ ი ს შ ი : ყველასთვის უფასო საექიმო დახმარება: მალარიის, ტუბერკულიოზის, ვენერიული და კბილის დაავადების დროს, ექიმის კაბინეტებით და აფთიაქი;

14.უფასო საექიმო და წამლებით დახმარება 1000 პროლეტარულ სტუდენტს, 5 სტიპენდიამათ და ერთდროული დახმარებები გაჭირვებულებს და უმუშევრებს, დასახიჩრებულთ;

15.სამზადისი ომიანობისთვის, მომარაგება მოულოდნელ შემთხვევისათვის, სტიქიურ უბედურების დროს ხალხის დახმარებისთვის მზათ ყოფნა - აი დაახლოებითი და მოკლედ ყველა ის, რასაც ამჟამად ეწევა საქართველოს წითელი ჯვარი და ყოველივე ამას საფრთხე მოელის თუ არ დაგვეხმარა მთავრობა.

ყველა რესპუბლიკების წითელ ჯვარს მთავრობა დოტაციის სახით აძლევს საკამოდ დიდ თანხებს, სუბსიდიას (იხილეთ მათი კალენდარი) და ჩვენ -კი ამას პირველად ვითხოვთ, განსაკუთრებით მაშინ, როცა სრულიად საქართველოს წითელი ჯვრის ყრილობა გვაქვს მოსაწვევი ამ თვის ბოლოს.

აქვე დავძენთ, რომ ჩვენ დაწყებული გვაქვს მთელი რიგი საექსპლოატაციო წარმოებისა, რომელიც შემდეგში უზრუნველ-გვყოფს ფინანსურად და ჩვენი მომართვაც დღევანდელი ალბათ უკანასკნელი იქნება.

ყოველივე ამის გამო გთხოვთ:

1. თქვენს დადგენილებას, რათა გვეპატიოს დამზღვევ სალაროში მოსამსახურეთათვის შესატანი თანხა 6.600 მან. გასული თვეებისა;

2. თქვენს შუამდგომლობას სახბანკის წინაშე 1923 წლის ვალის 4033 მან.25 კაპ. ჩამოწერის თაობაზე, რომელიც დაგვედო ბორჯომის წყლის იჯარით აღების გამო;

3. დაუყონებლივ აგვინაზღაუროს ჩვენი ვალი 20.000 მან. საკურორტო სამმართველომ, რომლის თავის დროზე მიუცემლობამ სხვათა შორის დაახლოვა აღწერილი მდგომარეობის შექმნა.

4. მოგვეცეს ერთდროულად დახმარების სახით სამი თვის განმავლობაში საარსებო სუბსიდიის სახით “ 45.000“ მან. და

5. ნება მოგვეცეს ჩვენი მარკები (5,10,20,40, და 50კ.) გავავრცელოთ დოღისა, აბანოსა და ფუნიკულიორის ფასიან ბილეთებზე, რესტორანის ანგარიშებზე და სამისამართო მაგიდაში მოქალაქეთა გაწერის დროს.

ყოველივე ამის დაკმაყოფილება უზრუნველყოფს იმ დანაკარგისგან დაცვას, რომელსაც ჩვენ განვიცდით.

უკანასკნელად მოყვანილი მუხლების შესახებ, თუ ისინი მიღებულ იქნა თქვენ მიერ, დამატებით დეტალური ცნობებს წარმოგიდგენთ განსახორციელებლად.

ვინაიდან განმარტებითი საჭირო ცნობები ხელთ გვექნება, გთხოვთ საკითხის განხილვის დროს ჩვენ ვიყოთ მოწვეულნი სხდომაზე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს მოადგ.	გ .ნუცუბიძე	(ხელმოწერილია)
საქმეთა მმართველი	ს. ჟორჟოლიანი	(ხელმოწერილია)
საქმის მწარმოებელი	ე. ჯობავა	(ხელმოწერილია)

სუიცა, ფონდი 600, ანაწერი 1 , საქმე N332 ფურ. 26-27ა

N4

1924 წლის 18 ივლისი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გ. ნუცუბიძის წერილი გაგზავნილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაობაში შექმნილი სირთულეების თაობაზე

საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალურმა კომიტეტმა რუსეთი წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტისგან მიიღო მომართვა (24-06-24, N048) რომლის პირსაც აქვე გაახლებთ; ხსენებული მომართვა საკავშირო საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯვართა კავშირის დაარსებას ეხება. უნდა აღინიშნოს რომ ამ კავშირის დაფუძნების აზრი და ინიციატივა საქართველოს წითელ ჯვარს ეკუთვნის და რასაკვირველია, ცენტრალური კომიტეტიც იმთავითვე დიდი ყურადღებით ეკიდებოდა და დღესაც ეკიდება ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს. გასული წლის მაისში მოსკოვში გაიმართა კონფერენცია საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრებისა, რომელსაც დაესწრნენ წარმომადგენლები რუსეთისა, უკრაინისა, ბელორუსიისა, აზერბაიჯანისა, სომხეთისა და ჩვენი. კონფერენციამ შეიმუშავა და მიიღო და დეკლარაცია "საბჭოთა რესპუბლიკების წითელი ჯვრების საზოგადოებათა კავშირის დაარსების" შესახებ (იხ. კონფერენციის ოქმი 18-05-23), ხოლო როცა საქმე საკავშირო ხელშეკრულებების დადებაზე მიდგა, აქ აღმოჩნდა დელეგაციების აზრის სხვა და სხვაობა. უთანხმოება გამოიწვია სახელდობრ, ხელშეკრულების პროექტის მე-3 და მე-6 მუ ხლებმა, რომელნიც რუსეთის წითელი ჯვრის მიერ იყო შემუშავებული; მე-3 მუხლი ეხება საკავშირო რესპუბლიკების წითელ ჯვართა წარმომადგენლობის ფორმას უცხოეთში. მოგვყავს აქვე რუსეთის წითელი ჯვრის პროექტი სათანადო მუხლისა და უკრაინის წითელი ჯვრის კონტ-პროექტი ამავე მუხლის შესახებ. რ.წ.ჯ. პროექტი: "3. უცხოეთში კავშირის წევრები სარგებლობენ ერთს მთლიან წარმომადგენლობით, რომელიც კავშირის ცენტრალურ ორგანოების დირექტივების თანახმად მოქმედებს. კერძო შემთხვევებში ადგილობრივ პირობათა მიხედვით, რომელიმე ნაციონალურ წითელი ჯვრის წინადადებითა და კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით, შეიძლება დაარსებულ იქნეს კავშირის ცალკე წევრთა წარმომადგენლობა". უკრაინის წითელი ჯვრის კონტრ. პროექტი: "3. კავშირის ცალკე წევრთა წარმომადგენლობის მოღვაწეობა უცხოეთში, საერთო საკავშირო მნიშვნელობის საკითხებში, გაერთიანებულია კავშირის აღმასრულებელ კომიტეტის დირექტივების საფუძველზე. საერთოსაკავშირო მნიშვნელობის საკითხებს განსაზღვრავს კავშირის ცენტრალური ორგანოების განსაკუთრებული ინსტრუქცია". მე-6 მუხლი შეეხება წითელი ჯვრის საკავშირო საბჭოს შედგენილობას, წარმომადგენლების რიცხვის რაოდენობის მხრით. რუსეთის წითელი ჯვრის მიერ წარმოდგენილი პროექტი ასეთია: " 6. საბჭო შესდგება კავშირის ყველა წევრის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთაგან ხმების შემდეგი პროპორციით: რუს. წით. ჯვრის საზოგადოებას 8 ხმა, უკრაინისას-4, ბელორუსიისას, საქართველოსას, აზერბაიჯანისას და სომხეთისას-თითო". უკრაინის წ.ჯ.

კონტრ-პროექტი: “ 6. საბჭო შესდგება კავშირის ყველა წევრის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთაგან ხმების შემდეგი პროპორციით: რუსეთის წ.ჯვარს - 4 ხმა, უკრაინისას -2, ბელორუსიისა, საქართველოსა, აზერბაიჯანისა და სომხეთისა - თითო“ (იხ. კონფერენციის ოქმი 18-05-23). ამნაირად უთანხმოება სწორედ ამ ორმა მუხლმა დაბადა კონფერენციის მონაწილეთა შორის და იგი (უთანხმოება) იმდენად შეურიგებელი იყო, რომ ვერც კონფერენციამ და ვერც კონფერენციის მონაწილე კომუნისტ წევრთა კერძო თათბირმა შესძლო მისი შეთანხმება. ამის გამო კონფერენცია დაიშალა და მას შემდეგ აღარც შეყრილა. კონფერენციის მუშაობის ნაყოფად დარჩა მხოლოდ დეკლარაცია საბჭოთა რესპუბლიკების წითელ ჯვართა კავშირის დაარსების შესახებ, ხოლო ხელშეკრულება ანუ კონსტიტუცია კავშირისა, ზემოთ ხსენებულ მუხლებში შეუთანხმებლობისა გამო, დღემდე მიუღებელია. საქმის ასეთი ვითარება, ცხადია, სასურველი და სასარგებლო არ არის ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბუნებრივად აღორძინებული მისწრაფება, ძმურ რესპუბლიკების წითელ ჯვართა კავშირის დაარსებისა, ნაყოფიერად უნდა დაგვირგვინდეს და, მეორეც იმიტომ, რომ ძმურ წითელ ჯვართა შორის ურთიერთობის ასე თუ ისე გამოურკვევლობა დიდად ვნებს ცალკე ნაციონალურ წითელი ჯვრების საზოგადოებათა მოღვაწეობას; ეს ზიანი განსაკუთრებით საგრძნობია საბჭოთა პატარა რესპუბლიკებისათვის, რომელნიც სათანადოდ ვერ სარგებლობენ უცხოეთის წითელი ჯვრების, როგორც დიდ გამოცდილებით, ისე მატერიალური დახმარებით, რადგან წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთანაც, იმავე ზემოთ დასახელებულ მიზეზის გამო, მათი დამოკიდებულება საბოლოოდ და ოფიციალურად გამორკვეული არ არის; ასე, მაგ. რუსეთისა და უკრაინის წითელი ჯვრები უკვე 1922 წლიდან ოფიციალურად ცნობილნი არიან საერთაშორისო კომიტეტის მიერ, თავიანთი წარმომადგენლობა აქვთ ევროპისა და ამერიკის მნიშვნელოვან ქალაქებში და დიდ დახმარებასაც ღებულობენ იქიდან. საერთაშორისო წითელი ჯვრის კომიტეტსაც აქვს თავისი წარმომადგენლობა რუსეთსა და უკრაინაში. ეს წარმომადგენლობანი, როგორც მოგეხსენებათ, თვალსაჩინო დახმარებას უწევდნენ და დღესაც უწევენ ამ ქვეყნებს სამკურნალო დარგსა და ბავშვთა დახმარების საქმეში. რაც შეეხება საქართველოს წითელ ჯვარს, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ურთიერთობა საერთაშორისო კომიტეტთან ოფიციალურს ფუძეზე არ არის დამყარებული, ცენტრალურმა კომიტეტმა მაინც შესძლო საქმიანობის ნიადაგზე მასთან ცხოველი დამოკიდებულების გაბმა, რამაც დღემდე ისეთი ნაყოფი გამოიღო, რომლის მნიშვნელობის უარყოფას ისიც კი ვერ შესძლებს, ვინც, ვსთქვათ, პესიმისტურად ან გულგრილადაა განწყობილი უცხოეთთან ნორმალურ კავშირის დამყარების საქმეში. ასე, დღემდე საქართველოს წითელმა ჯვარმა საერთაშორისო კომიტეტისგან მიიღო ნანსენის ტიპის ხუთი საველე აფთიაქი, 200 კილო ქინაქინა და 100 დოლარი, როგორც, ასე ვსთქვათ, ავანსი ბავშვთათვის მომავალი დახმარების ანგარიშში; აღთქმული გვაქვს აგრეთვე საერთაშორისო კომიტეტისგან სამალარიო-სადემონსტრაციო სადგურის დაარსება ტფილისში, რისთვისაც ამ კომიტეტის წარმომადგენელმა, მოქ. ვერლენმა, მრავალი მასალი მიიღო

ჩვენგან ამ გაზაფხულს ტფილისში ყოფნის დროს. მანვე გადმოგვცა, რომ მალარიის სადგურთან იქნება აგრეთვე ბავშვთა საერთაშორისო დამხმარე საზოგადოების სექცია, რომელიც დახმარებას გაუწევს ჩვენს ბავშვებს. სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო მალარიის საკითხი იმდენ მატერიალურ საშუალებასა და ცოდნას მოითხოვს, რომ მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ძალით მის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა, საერთაშორისო კომიტეტის დაუხმარებლად, არც ერთ ნაციონალურ წითელი ჯვრის საზოგადოებას არ შეუძლია. მიმდინარე წლის მარტში პარიზში მომხდარ მალარიის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო კომიტეტის კრებაზე გამოირკვა, რომ ამ ორი წლის განმავლობაში მალარიის ექსპანსიას ორჯერ მოუმატია მთელი დედამიწის ზურგზე, ხოლო ქინაქინას პროდუქცია, რაც 1914 წელს 1000 ტონას აღემატებოდა, 600 ტონამდე ჩამოსულა და ფასიც ოთხჯერ გადიდებულა 1914 წელთან შედარებით. ასე, რომ, ამ მხრივ ქვეყნიერება დიდ შიმშილსა და საფრთხეს განიცდის. ხსენებულმა კომიტეტმა განიხილა ღონისძიებანი ამ გაჭირვების თავის შემოსავლელად და ქინაქინის პროდუქციის გასაძლიერებლად. საგულისხმოა, რომ, როგორც "წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მოამბე" გადმოგვცემს, ბათუმის მხარე მიუჩნევიათ ისეთ ადგილად, სადაც შესაძლებელია ქინაქინის კულტურის გაჩაღება. ამავე კომიტეტს აურჩევია განსაკუთრებული კომისია, რომელშიც შედიან ისეთი გამოჩენილი მეცნიერები მალარიის დარგში, როგორიც არიან: ბერნარი, ნოხტი, პიტალუვა და ოტოლენგი. ესენი შემოივლიან პოლონეთს, უკრაინას, საქართველოს და ამიერკავკასიის სხვა კუთხეებს, რათა ადგილობრივად გამოიკვლიონ მალარიის ბუნება და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი.

ასეთია ამჟამად და მოკლედ ურთიერთობა, ერთის მხრით, საქართველოს და მომმე რესპუბლიკების წითელი ჯვრებისა, ხოლო მეორეს მხრით კი, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა.

ყოველივე ამის გამო საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი გთხოვთ, როდესაც ამ საკითხის გარჩევას განიზრახავთ, რათა ჩამოაყალიბოთ საკავშირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისათვის თქვენი წერილობითი შეხედულება, ჩვენც გვაცნობოთ, რათა დაწვრილებითი და ამომწურავი ცნობები მოგაწოდოთ.

თავმჯდომარის მოადგილე	გ. ნუცუბიძე	(ხელმოწერილია)
საქმეთა მმართველი	ს. ჟორჟოლიანი	(ხელმოწერილია)

სუიცა, ფონდი 600, ანაწერი1, საქმე N332, ფურცელი 18-19ა.

N5

1924 წლის 9 სექტემბერი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გ. ნუცუბიძის მოხსენებითი ბარათი გაგზავნილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი საქართველოს წითელის ჯვრის საზოგადოებისათვის შეღავათების მინიჭების და დახმარების აღმოჩენის თაობაზე

თქვენი 10013N-ს მიმართვით გვემცნო, რომ ჩვენ შუამდგომლობაზე: წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის სხვადასხვა შეღავათებისა და დახმარებების აღმოჩენის შესახებ, უარი გვეთქვა.

ჩვენი საზოგადოება ვერ შერიგებია ასეთ აზრს, რომ ხელისუფლებას ასეთი დადგენილების გამოტანით მოუსურვებია წითელი ჯვრისა და მისი მაღალმნიშვნელოვანი საქმიანობის ფაქტიურად გაუქმება.

მართლაც, წარმოუდგენელია, რომ ასეთი საზოგადოების ბედ-იღბალი, რომელსაც რესპუბლიკის მასშტაბში აქვს 15 განყოფილება და ფილიალები ავტონომიურ რესპუბლიკებში , რომელსაც დღეს ჰყავს 17000-მდე წევრი გლეხთა და მუშების, ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც ამჟამად 25-მდე საექიმო დაწესებულებები აქვს ხელისუფლების დამხმარე და მისი პრესტიჟის ამწევი, საზოგადოება, რომელმაც მოახერხა უცხო სახელმწიფოებთან და მოკავშირე რესპუბლიკებთან მჭიდრო კავშირის გაბმა - ვერ წარმოგვიდგენია, რომ ასეთი დაწესებულების ბედ-იღბალი ამგვარად წარმართულიყოს.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი უტყუარი საბუთებიდან და მოხსენებიდან ნათლად ჩანდა, რომ თუ ხელისუფლება საქართველოს წითელ ჯვარს არ მიანიჭებდა იმ შეღავათებს და არ აღმოუჩენდა ისეთს დახმარებას, რომელიც მის საარსებო წყაროს შეადგენს და ყოველთვის ტრადიციით შეადგენდა მის უდაო კუთვნილებასა და დღესაც ასეთი უფლება ურყევია მოკავშირე რესპუბლიკებისათვის - ასეთ შემთხვევაში წარმოუდგენელია ჩვენი საზოგადოების არსებობა და მისი საქმიანობის გაძღოლა.

კარგათ მოგეხსნებათ, რომ ჩვენ სახელმწიფო ბიუჯეტზე არა ვართ აყვანილი, დახმარება და დონაცია მთავრობისაგან, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია, ჩვენ არ მიგვიღია და თუ აქამდის ხელისუფლება არ შეგვიწუხებია დახმარებისთვის იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენის საშუალებით, ეკონომიური დარგის საქმიანობითა და ვაჭრობით ვცდილობდით საქმის წაყვანას, მაგრამ რესპუბლიკის მუშ-გლეხინმა რევიზიის შემდეგ შეუძლოთ დაინახა ჩვენი ამ მიმართულებით მუშაობა და აგვიკრძალა ამიერიდან ასეთი მოღვაწეობა, საშუალებების გამონახვის მიზნით წარმოებული.

ხელისფლება და პარტიული ორგანიზაციები ითხოვენ ჩვენგან მუშაობის გაფართოებას; ნებას არ გვაძლევენ არსებული ორგანიზაციების გაუქმების და ახალ მოთხოვნილებებს გვიდგენენ, ჩვენ-კი საშუალებები არ გვყოფნიდა და თქვენ მიერ ჩვენ შუამდგომლობაზე უარის თქმის შემდეგ, ჩვენ იძულებული ვიქნებით იმით ვიარსებოთ, რომ გავყიდოთ ის მნიშვნელოვანი და იშვიათი ქონება, რომელიც ომიანობისა და სხვა დროისთვის არის ათეული წლობით მომარაგებული, რაც დაუშვებელია და ჩვენც უფლება არა გვაქვს.

შესაძლოა, ჩვენი მდგომარეობის ზოგიერთი მუხლები არ იყო ხე-

ლისუფლებისთვის მისაღები: მაგ. ახალი დაბეგვრის შემოღება ჩვენ სასარგებლოთ, ყოველგვარ გადასახადებისგან ჩვენი ყველა საექიმო და სამრეწველო დაწესებულებათა განთავისუფლება, ჩვენი კორესპონდენციის უფასოდ გაგზავნა, რკინიგზის უფასო სამოგზაურო ბილეთების მოცემა, ვალების პატიება და სხვა, მაგრამ შეუძლებელია, რომ ხელისუფლებას არ მოეცა ჩვენთვის უფლება იქ ჩვენი მარკების გავრცელებისა, სადაც ჩვენ ამის უფლება გვაქვს. ჩვენი ხვედრი ანარიცხების აღების დროს, მაგ. თეატრსა და კინოებში; ან გაეწია ფინანსური დახმარება ჩვენი საზოგადოებისათვის ან ჩვენი ზოგი დაწესებულებები გაეთავისუფლებინა გადასახადისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენის დადგენილებით გამოდის, რომ ჩვენ ამბულატორიებისა და სხვა საექიმო დაწესებულებებისთვის გადასახადი უნდა გავიღოთ, რაც შეუძლებელია.

ყოველივე ამის გამო აქვე გაახლებთ-რა ჩვენი წინანდელი მომართვების ასლს და გთხოვთ - რათა ქვემოთ მოყვანილი ჩვენი უკვე მოკლებული შუამდგომლობები იყოს შეწყნარებული.

1. იმ მოტივების გამო, რომელიც ჩვენ მოხსენებაშია მოყვანილი მოგვეცეს დონაცია საარსებოდ 85.520 მანეთი.

2. იქ, საიდანაც ჩვენ ვიღებთ მცირე ანარიცხებს, ნება მოგვეცეს გავავრცელოთ ჩვენი მარკები.

3. ყველა ჩვენი სამკურნალო დაწესებულებანი სავსებით იყოს გადასახადებისაგან განთავისუფლებული, ხოლო დაწესებულებანი, რომელნიც შემოსავლის მიზნით არის დაფუძნებული, გათანასწორებულ იქნეს უფლებებში კოოპერატიულ დაწესებულებებთან, როგორც ეს ჩანს თქვენთან წარმოდგენილ საბუთებიდან, რომელიც მოკავშირე რესპუბლიკების უფლებრივ მდგომარეობას ამ მხრივ ახასიათებენ;

4. აუცილებლად, როგორც ეს კავშირის მთელ ტერიტორიაზეა, განთავსებულ უნდა ვიქნეთ, თანახმად ჩვენი წესდებისა, საღერბო გადასახადისგან და

5. შესაძლოდ უნდა დაინახოთ ჩვენ სასარგებლოთ დაბეგრილ იქნას პირველ ხარისხოვან სასტუმროებში ჩამომხტარი კერძო პირები, თანახმად სახკომსაბჭოს ამა წლის 30 იანვრიდან (სხდომის ოქმი N5) მიღებულ დადგენილებისა.

ამის გამო გთხოვთ, რათა ჩვენი საკითხი განმეორებით იყოს დასმული სახკომსაბჭოს სხდომაზე, რომელზეც ჩვენი წარმომადგენელი, რომელიც ამ ზოგადი მოხსენების ადგილებს დაასაბუთებს, იყოს მოწვეული.

დ ა ნ ა რ თ ი : ხსენებული

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს მოადგ. გ. ნუცუბიძეს (ხელმოწერილია)

საქმეთა მმართველი ს. ჟორჟოლიანი (ხელმოწერილია)

სუიცა, ფონდი 600, ან1, საქმე N332, ფურცელი 11-12

N6

1924 წლის სექტემბერი. იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნა საქართველოს წითელი ჯვრისთვის ფულადი დახმარებისა და სხვა შეღავათების მიცემის თაობაზე

დ ა ს კ ვ ნ ა

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა

საქართველოს წითელი ჯვრისთვის ფულით დახმარებისა და სხვა და სხვა შეღავათის აღმოჩენის შესახებ

როგორც საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადმოგზავნილი მიმოწერიდან ირკვევა, წითელი ჯვრის საზოგადოების მიერ აღძრულია მუდმივი შუამდგომლობა:

1/ მიეცეს მას ფულადი დახმარება დავალიანების დასაფარავად, რომელიც აღრიცხულია 85520 მანეთის რაოდენობით;

2/ იქ, სადაც საზოგადოება იღებს ანარიცხებს, მიეცეს მას ნება გაავრცელოს თავისი მარკები;

3/ განთავისუფლებული იქნეს საზოგადოების სამკურნალო დაწესებულებები გადასახადებისაგან, ხოლო სხვა კომერციული სახის დაწესებულებებს კოოპერაციულ დაწესებულებებთან გათანასწორებით შეუმცირდეს გადასახადი;

4/ განთავისუფლებულ იქნას ზემო აღნიშნული დაწესებულებანი საღერბო გადასახადისგან და

5/ დაბეგრილ იქნენ საზოგადოების სასარგებლოდ პირველ ხარისხოვან სასტუმროებში მყოფი კერძო პირები;

იუსტიციის სახალხო კომისარიატი იღებს რა მხედველობაში სახალხო კომისართა საბჭოს ამა წლის 24 ოქტომბრის დადგენილებას, რათა ეს საკითხი გადაეცა მას ს.ს.რ. არსებულ კანონმდებლობასთან შესათანხმებლად; საქართველოში ა/კ სსრ ფინანასთა სახალხო კომისარის რწმუნებულის დასკვნა და მთელი მიმოწერა, დ ა ა ს კ ვ ნ ი ს:

1/ პირველი საკითხის შესახებ - არსებული კანონების თანახმად, თუ კი ს.ს.ს.რ სახალხო კომისართა საბჭო შესაძლებლად დაინახავს პირველი შუამდგომლობის დაკმაყოფილებას მთლად ანუ ნაწილში, სახალხო კომისართა საბჭო თავის დადგენილებით დააკმაყოფილებს მას, ხოლო თუ მოთხოვნილი თანხა გაცემულ უნდა იქნეს წითელი ჯვრის საზოგადოებისათვის სახელმწიფო საბიუჯეტო სახსარიდან , საჭირო არის ა/კ. ს.ს.რ.ფ სახალხო კომისართა საბჭოს დასტური.

2/ მეორე პუნქტში აღნიშნული შუამდგომლობის დაკმაყოფილება არ ეწინააღმდეგება არსებულ კანონებს, ხოლო ამ შემთხვევაში საჭირო არის დამტკიცებულ იქნეს საზოგადოებასთან შეთანხმებით სხვა და სხვა ხარისხის მარკების ღირებულება და წინასწარ არსებულ პრაქტიკის თანახმად შემოღებულ იქნეს ჩვენ რესპუბლიკაში ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმის დეკრეტი - წითელი ჯვრის სასარგებლოდ საჯარო გასართობების დაბეგვრის შესახებ, რომელზედაც ცნობა დასტამბულია მოსკოვის გაზეთ ,,პრავდა“-ში N208, ამა წლის 13 სექტემბრის თარიღით.

3/ მესამე და მეოთხე პუნქტში აღნიშნულ შუამდგომლობებზე უნდა

ითქვას რომ, როგორც გაზეთ ,,ზარია ვოსტოკა“-ში N695 ,ამა წლის 5 ოქტომბრის თარიღით დასტამბული მოსკოვიდან მიღებული დეპეშიდან ჩანს ს.ს.ს.რ. ცაკის პრეზიდიუმს დაუდგენია ყველა საკავშირო რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების დაწესებულებათა ყოველგვარ სახელწმიფო და ადგილობრივ გადასახადისაგან და ხარკისაგან განთავისუფლება. ამ დეკრეტის ჩვენ რესპუბლიკაში შემოღებისთანავე აღნიშნული შუამდგომლობანი თავისთავად დაკმაყოფილებული იქნება.

4/ მეხუთე შუამდგომლობის დაკმაყოფილების წინააღმდეგ არაფერი ითქმის არსებული კანონების თვალსაზრისით, ხოლო ბეგარა ამ შემთხვევაში უნდა იქნეს განსაზღვრული და, ვინაიდან ეს ბეგარა არ არის გათვალისწინებული ამჟამად მოქმედი ადგილობრივი ფინანსების დროებითი დებულების მიერ, ეს ახალი ბეგარა შემოღებულ უნდა იქნეს ა/კ. ს.ს.ს.რ. ცაკ-ის ანუ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

იუსტიციის სახალხო კომისარი (ხელმოწერილია)
მე-3 განყოფილების გამგე (ხელმოწერილია)
იურისკონსულტი (ხელმოწერილია)
სუიცა, ფონდი 600, აღწერა1 საქმე N332, ფურცელი 7-7ა

N7

1925 წლის 10 თებერვალი. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება N79 საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად სპეციალური გადასახადის დაწესების შესახებ

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშულებათა გაძლიერებისათვის საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს განსაკუთრებული დამატებითი გადასახადი სახელწოდებით: ''საქართველოს წითელი ჯვრის სპეციალური საშუალებანი''.

ა/ ყველა თეატრის, კინოსა და სხვა ფასიანი სანახავისა, გასართობისა და კრებების ბილეთებზე. ბილეთის ღირებულების 5%-ის რაოდენობით.

ბ/ ლოტოს თამაშით მოგებულ თანხაზე ,ამ თანხის 5%-ის რაოდენობით და

გ/ ყოველგვარ სასამართლო აქტების საღერბო გადასახადის თანხაზე 3%-ის რაოდენობით.

2. ამა დადგენილების პირველი პუნქტიდან შემოსული თანხები გადასახადის ამკრეფი დაწესებულების მიერ შეტანილ უნდა იქნეს ხაზინაში საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების საშუალებებში ჩასარიცხად.

3. მიღებული თანხების ანგარიშს ხაზინა აწარმოებს სპეციალურ საშუალებათა ანგარიშის წარმოების წესით.

4. ამ დადგენილების განმარტებისა და განვითარებისთვის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს უფლება ეძლევა გამოსცეს სათანადო ინსტრუქციები.

5. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სსრ (ხელმოწერილია) სახალხო კომისართა თავმჯდომარე

შ. ელიავა

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი (ხელმოწერილია)

1925 წ. თებერვლის 10

ტფილისი. სასახლე

სუიცა, ფონდი 600, ანაწერი 1, საქმე 73

N8

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პ. კიკალიშვილის ინფორმაცია გაგზავნილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი 1925 წლის 20 ოქტომბერს ჩატარებული წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის პირველი სესიის თაობაზე .

1. სესია გაიხსნა ამა წლის 20 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე ჯანსახკომატის შენობაში; საორგანიზაციო კომისიის სახელით სესიას მიესალმა რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარე ამს. სოლოვიოვი და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა.

არჩეულ იქნა პრეზიდიუმი შემდეგის შემადგენლობით: ამხანაგები ენუქიძე, სოლოვიოვი და კიკალიშვილი; სამანდატო კომისია: ამხ. კოროვინი და შაპირო, მდივნი: ამხ მებურნუთოვი.

რუსეთის წითელი ჯვრიდან სხდომას დაესწრნენ : ამხ. 1-სოლოვიოვი, 2- კოროვინი, 3- ვსიტი, 4-ივანოვსკი, 5-ნოსოვი, 6-ბერნიგოვი, 7-ტიხომიროვი, 8-რაუტენშტეინი, 9-გოლუბკოვი, და 10-გინზბურგი.

უკრაინის წითელი ჯვრიდან : 1- ზლატკოვსკი, 2-ლინიჩენკო, 3-იჟევსკი, 4-ვისოვსკოვი.

საქართველოს წითელი ჯვრიდან - პ. კიკალიშვილი.

აზერბაიჯანის წითელი მთვარიდან - ურუხოვი.

სომხეთის წითელი ჯვრიდან - კამხარაკინი.

ბელორუსიის წითელი ჯვრიდან - შაპირო.

უზბეკისტანის წითელი მთვარიდან - მებურნუთოვი.

სულ საბჭოს 19 წევრი და კანდიდატი; მიღებულ იქნა რუსეთისა და ნაციონალურ წითელი ჯვრების მიერ შემოტანილი დღის წესრიგი : 1. წითელი ჯვრის და წითელი მთვარის წარმომადგენელთა მოხსენება თავიანთი საზოგადოებათა მოქმედების შესახებ.

2) მოხსენება ომის ინვალიდებისათვის დახმარების გაწევის შესახებ.

3) დებულების შემუშავება წითელი ჯვრის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისათვის.

4) აღმასკომის ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

5) აღმასკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევა და

6) მიმდინარე საქმეები.

საზოგადოებათა მოღვაწეობის შესახებ მომხსენებლად გამოვიდნენ

რუსეთის წითელი ჯვრიდან ამხ. კოროვინი, უკრაინისა-ამხ. ლინიჩენკო, საქართველოს წითელი ჯვრიდან ამხ. კიკალიშვილი, ბელორუსიისა-ამხ. შაპირო, სომხეთისა-ამხ კამხარაკინი, აზერბაიჯანის წითელი მთვარიდან-ა მხ. ურუხოვი, უზბეკისტანისა-ამხ. მებურნუთოვი, მოხსენებებში აღნიშნული იყო მთელი რიგი მიღწევებისა, მაგრამ არც ნაკლი იყო დაფარული, რაც მომავალში უნდა გასწორდეს. მოხსენებების დასრულების შემდგომ სხდომა გადადებულ იქნა დროგადასულობის გამო; შემდეგ სხდომა დაინიშნა 22 ოქტომბრის საღამოს 6 საათისთვის.

სესიის 22 ოქტომბრის სხდომაზე დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო. კამათში აღნიშნული იყო საზოგადოებათა მიღწევანი მოუსავლობით დაზარალებულ გლეხობისათვის სამკურნალო დახმარების საქმეში, სოციალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ ნაწარმოებ ბრძოლაში, მაგრამ აღნიშნული იყო აგრეთვე საზოგადოებათა სუსტი კავშირიც მუშებისა და გლეხობის მასებთან. ხაზგასმულ იქნა საზოგადოებათა არსებობისთვის მტკიცე ეკონომიურ საფუძვლისა გამოძებნის საჭიროება და თითოეულ ნაციონალურ საზოგადოების პრაქტიკულ საქმიანობისადმი ფრთხილი და მომჭირნეობითი მოპყრობა. ყველა ამ დებულებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მოხსენებათა განხილვის შემდგომ მიღებულს რეზოლუციებში.

ომის ინვალიდებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხში მომხსენებელმა აღნიშნა რომ ცხოვრება გადაჭრით მოითხოვს, რათა წითელი ჯვრისა და მთვარის საზოგადოებებმა იკისრონ სამკურნალო დახმარების საქმის ნაწილი მაინც, პროტეზების მოწყობისა და აგარაკებზე სანატორიული მკურნალობის სახით, რადგანაც სოცუზრუნველყოფის კომისარიატები საკუთარის ძალით ამ ამოცანას ვერ ერევიან; ამ მოხსენების გამო გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ ომის ინვალიდების ზემოხსენებულ საჭიროებათა დაკმაყოფილებას მნიშვნელოვანი თანხა მოუნდება, რაც ამჟამად საზოგადოებებს არ მოეპოვებათ. მიუხედავათ ამისა, რადგან ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, დაადგინეს წინადადება მიეცეს ნაციონალურ საზოგადოებებს ადგილობრივ დაწვრილებით შეისწავლონ იგი და საბჭოს მომავალ სესიას წარმოუდგინონ განსახილველად. რაც შეეხება აღმასკომისათვის დებულების შედგენის საკითხს, გადაწყდა, თვით აღმასკომმა შეიმუშაოს ეს დებულება, რომელსაც საფუძვლად დაედოს მოხსენებებიდან გამომდინარე რეზოლუციები და გასულ აპრილში მომხდარ საზოგადოებათა კონფერენციის მიერ შემუშავებული და საკავშირო სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებული სტატუსი კავშირისა.

ხარჯთაღრიცხვის შედგენაც აღმასკომს მიენდო იმ ვარაუდით, რომ იგი საბჭოს მეორე სესიას წარედგინოს დასამტკიცებლად. სესიამ დაასრულა თავისი მუშაობა აღმასკომის არჩევით, რომელშიც შევიდნენ ამხანაგები: ენუქიძე (ამიერკავკასიიდან), სოლოვიოვი (რ.ს.ფ.ს.რ.), ზლატკოვსკი (უკრაინიდან), შაპირო (ბელორუსიიდან), და მებურნუთოვი (უზბეკისტანიდან).

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე პ. კიკალიშვილი (ხელმოწერილია)

სუიცა, ფონდი 600, ან.1 , საქმე 399, ფურცელი 93-94.

N 9

1925 წლის 6 დეკემბერი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პ. კიკალიშვილის მოხსენებითი ბარათი გაგზავნილი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი საქართველოს წითელის ჯვრის საზოგადოებისათვის მინიჭებული შეღავათების ძალაში დატოვების თაობაზე

თქვენ მოგეხსენებათ, რომ საქართველოს წითელი ჯვარი, როგორც საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტზე არ იმყოფება და თავის საქმიანობას საექიმო და სასანიტარო მუშაობას სწევს იმას საშუალებებით, რომელთა მოსაპოვებლად წითელი ჯვარი თვით მიმართავს შესაფერ ღონისძიებებს.

ხელისუფლების მხრივ წითელი ჯვარისადმი დახმარება გამოიხატება იმ უპირატესობებში, რომელთაც ჩვენ საზოგადოებას ანიჭებენ.

მათ შორის, ჩვენ საარსებო საშემოსავლო ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროთაგან ითვლება ის რეგალიები, რომლებიც წითელ ჯვარს ეძლევა კინო და თეატრის ბილეთებზე ანარიცხების სახით.

თუ ჩვენ ბიუჯეტს ეს წყარო გამოაკლდა, მაშინ ჩვენ იძულებულნი ვიქნებით მთელი რიგი ჩვენი საექიმო დაწესებულებები გავაუქმოთ უსახსრობის გამო, რაც არასასურველი მოვლენა იქნება.

1924 წლის 12 ენკენისთვეს საკავშირო სახკომსაბჭომ თავის დადგენილებით ასეთი უფლება მიანიჭა რესპუბლიკების წითელ ჯვრებს და წითელი მთვარის საზოგადოებებს.

წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების დღიდან ასეთი უფლება შეადგენდა მის უდაო პრივილეგიას და იგი ითვლებოდა მის საარსებო წყაროთ.

ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატის ინიციატივით, საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე აღძრულია შუამდგომლობა ამ დადგენილების გაუქმების შესახებ, რომლითაც წითელ ჯვარს არ უნდა ეძლეოდეს ის მცირე ანარიცხები, რომელნიც დღემდის გაყიდულ ბილეთებიდან ენიჭებოდა წითელ ჯვარს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ საკავშირო საბჭო, რომელიც გაცნობილია რესპუბლიკების წითელი ჯვრების საზოგადოებათა საქმიანობას, არ შეცვლის მის მიერ ა. წ. 12 ენკენისთვეს მიღებულ დადგენილებას და ამით საარსებო წყაროს არ წაართმევს წითელ ჯვარს მათ საქმიანობის შესრულებაში.

ჩვენ გვწამს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების წითელი ჯვრები, რომელთაც გაიგეს ეს არა სასურველი ცნობა, სათანადო ნაბიჯებს გადადგამენ თავისი მთავრობების წინაშე, რომ არსებული დადგენილება არ იქნეს შეცვლილი.

ჩვენის მხრივ - კი გთხოვთ სასწრაფო შუამდგომლობას ამიერკავკასიის გზით ან უშუალო საკავშირო სახკომსაბჭოს წინაშე, რათა უკანასკნელის მიერ 1924 წლის 12 ენკენისთვეს მიღებული დადგენილება: წითელი ჯვრების სასარგებლოდ კინო-თეატრების ფასიან ბილეთებიდან ანარიცხების დაწესების შესახებ დარჩეს უცვლელად, ვინაიდან ამის გარეშე წითელი

ჯვრის საზოგადოებათა არსებობა ერთგვარად საეჭვო ხდება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე : პ. კიკალიშვილი (ხელმოწერილია)
საქმეთა მმართველი ჟორჟოლიანი (ხელმოწერილია)
სუიცა, ფონდი 600, ან1, საქმე N332 , ფურცელი 49-49ა

N10

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის პ. კიკალიშვილის ინფორმაცია (07.12.1925) გაგზავნილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი მოსკოვში წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის დაარსებისა და დებულების თაობაზე .

ამა წლის 25 ოქტომბერს, მოსკოვში დაარსდა საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოთა საზოგადოებრივი ნაციონალურ ორგანიზაციათა ,,წითელი ჯვრისა“ და წითელი მთავრის

საზოგადოებათა კავშირი, რომელშიც შედის საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება, რომელის აღმასრულებელი ორგანო - აღმასრულებელი კომიტეტი ამხ. ა. ენუქიძის თავმჯდომარეობით უკვე შეუდგა მუშაობას, რა-საც მისი დავალებით მოგახსენებთ ცნობისთვის.

აღმასკომის დროებითი მისამართი არის: პუშეჩნაია /ყოფ.სოფიიკა/ N5.

დანართი: საკავშირო ხელისუფლების მიერ დამტკიცებული დებულება.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე / კიკალიშვილი/ (ხელმოწერილია)
საქმეთა მმართველი / ჟორჟოლიანი/ (ხელმოწერილია)

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

სოც, საბჭ. რესპუბლიკების კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსი სოც. საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოე-ბათა კავშირის დებულების დამტკიცების შესახებ.

სოც. საბჭ. რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭო ადგენს“

დამტკიცებულ იქნას ქვემოდ აღნიშნული დებულება სოც.საბჭ. რესპუბ-ლიკების წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირისა.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სოც.საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირისა.

1. ზოგადი დებულებანი

1. სოც. საბჭ. რესპუბლიკების წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირი დაარსებულია იმ მიზნით, რომ წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის რესპუბლიკურმა ეროვნულმა ორგანიზაციებმა თავისი წარმომადგენელი იყოლიონ ს.ს.რ. კავშირის მთავრობასთან, გარდა ამისა, ეს კავშირი დაარსებულია ხსენებული ორგანიზაციების მოქმედების შესათანხმებლად საზღვარგარეთულ ყველა იმ საკითხის შესამუშავებლად,

რასაც მნიშვნელობა ექნება კავშირის წევრთათვის და ამ წევრთა მუშაობაში ურთერთდახმარების გასაწევად.

2. წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის კავშირში მონაწილეობენ:

რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოება.

უკრაინის წითელი ჯვრის საზოგადოება.

ბელორუსიის წითელი ჯვრის საზოგადოება.

სომხეთის წითელი ჯვრის საზოგადოება.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება.

აზერბაიჯანის წითელი მთვარის საზოგადოება.

უზბეკისტანის წითელი მთვარის საზოგადოება.

იმ შემთხვევაში, უკეთუ ს.ს.რ. კავშირის ერთ-ერთ მოკავშირე რესპუბ-ლიკაში დაარსდება წითელი ჯვრისა ან წითელი მთვარის ახალი საზო-გადოება, მას შეუძლია შევიდეს წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირში, როგორც სწორუფლებიანი წევრი.

3. კავშირის ყოველი მონაწილე სრულიად დამოუკიდებლად სწყვეტს თვისი შინაორგანიზაციისა და მოქმედების საკითხებს მოკავშირე რესპუბ-ლიკების კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში.

4. კავშირის ყოველ მონაწილეს აქვს თავისი დამოუკიდბელი წარმომადგენლობა საზღვარგარედ; წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის საზოგადოებათა კავშირის რამდენიმე ან ყველა მონაწილეს შეუძლია ერთ რომელიმე ასეთ წარმომადგენლობას, ურთიერთ შეთანხმებით, გადასცეს თვისი უფლებამოსილება.

5. წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის კავშირის ყოველ მონაწილეს აქვს კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება.

6. კავშირი სარგებლობს იურიდიული პირის ყველა უფლებით.

7. კავშირს აქვს თავისი ბეჭედი.

2. კავშირის ორგანოები

ა) კავშირის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები.

8. წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა ცენტრალური ორგანო არის ამ კავშირის საბჭო და აღმასრულებელი კომიტეტი, აგრეთვე საბჭოს მიერ არჩეული სარევიზიო კომისია.

9. წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის კავშირი მოკავშირე რესპუბ-ლიკებში მოქმედებს მონაწილე საზოგადოების ადგილობრივ ორგანოთა მეშვეობით

ბ) კავშირის საბჭო.

10. წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა საკავშირო საბჭო შესდგება ყველა მონაწილე საზოგადოების ცენტრალური კომიტე-ტების წარმომადგენლებისგან. ამასთანავე, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოებას ჰყავს 8 წარმომადგენელი, უკრაინას 4, ხოლო სხვა დანარჩენ მონაწილე საზოგადოებებს თითო.

11.საბჭოს მორიგი სესია იკრიბება წელიწადში ორჯერ მოკავშირე რეს-პუბლიკების დედა ქალაქებში, საბჭოს საგანგებო სესიას მოიწვევს წითელი

ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი თავისი თაოსნობით ანდა არანაკლებ ორი მონაწილე საზოგადოების მოთხოვნით.

გ) კავშირის საბჭოს უფლება-მოვალეობანი.

12.წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის საზოგადოებათა კავშირის საბჭოს ევალება“

1) აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა.

2) ყველა იმ ცვლილებათა პროექტის შემუშავება, რაც კი შეიძლება ამა დებულებისათვის საჭირო გახდეს და რაც უნდა წარედგინოს ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭს დასამტკიცებლად.

3) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტისთვის განაწესის შემუშავება.

4) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.

5) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.

6) იმ საკითხების შემუშავება, რასაც მნიშვნელობა აქვს კავშირის ყველა წევრისათვის.

7) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის მიერ უცხოელ ორგანიზაციებთან დადებულ ხელშეკრულებათა და დამ-ტკიცება მათი წარდგენა. სათანადო შემთხვევაში, ს.ს.რ კავშირის მთავ-რობისათვის მოსაწონებლად; უკეთუ კავშირის რომელიმე მონაწილემ ხელ-შეკრულება დადო უცხოელ ორგანიზაციებთან, ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცებულ იქნეს შესაფერისი რესპუბლიკის მთავრობის მიერ, ხოლო სათანადო შემთხვევაში, კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის მეშვეობით, წარედგინება ს.ს.რ. მთავრობას დასამტკიცებლად.

8) წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის საზოგადოებათა კავშირის მონაწილეთა შორის აღძრული ყოველგვარი დავის გადაწყვეტა.

9) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის თანხებისა და სხვა ქონების საერთო განმგებლობა და სპეციალური ფონდის შექმნა (22 მუხლი).

10) წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის საზოგადოებათა კავშირის მონაწილეთათვის საერთო მუშაობის გეგმის შემუშავება და მათ შორის სხვადასხვა დავალებისა და საქმის განაწილება.

დ) კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი.

13.წითლი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტს ირჩევს კავშრის საბჭო თავის წევრთა შორის, ერთი წლის ვადით, კომიტეტის სხდომა თვეში ერთხელ მაინც უნდა იმართებოდეს.

14.აღმასრულებელი კომიტეტი იმყოფება მოსკოვში და შესდგება ხუთი წევრისაგან (თითო-თითო რუსეთისა, უკრაინისა და ბელორუსიის წითელი ჯვრისა და უზბეკისტანის წითელი მთვარის საზოგადოებისგან, ხოლო ამიერ-კავკასიის ფედერაციის სამი საზოგადოებისაგან ერთი, რომელსაც

აირჩევენ ამ საზოგადოებათა აღმასრულებელი კომიტეტები ურთიერთ შეთანხმებით).

15.აღმასრულებელი კომიტეტი თავისი მოქმედებისათვის პასუხს აგებს წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის საზოგადოებათა კავშირის საბჭოს წინაშე.

16.აღმასრულებელ კომიტეტთან იმყოფება ტექნიკური სამდივნო, რომელიც ემორჩილება აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის განკარგულებას.

ე) აღმასრულებელი კომიტეტის უფლება და მოვალეობანი

17.წითელი ჯვრისა და წითელი მთავრის აღმასრულებელ კომიტეტს ეკისრება:

1) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის საბჭოს დადგენილებების ცხოვრებაში გატარება,

2) საბჭოს სესიების მოწვევა და მათთვის მასალების დამზადება,

3) საზღვარგარეთ მყოფ წარმომადგენელთა მუშაობის შეთანხმება,

4) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის თანხებისა და სხვა ქონების გამგებლობა და უშუალო განკარგულება,

5) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის წარმომადგენლობა ს.ს.რ კავშირის მთავრობის წინაშე და აღნიშნულ საზოგადოებათა კავშირის საქმეების გამო ყოველგავრი ურთიერთობის დაჭერა.

6) წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის ანგარიშების წარმოება.

7) ყველა იმ ფუნქციის შესრულება, რაც კი შეიძლება აღმასრულებელ კომიტეტს გადაეცეს წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის საბჭოს მიერ.

ვ) კავშირის სარევიზიო კომისია.

18.წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის სარევიზიო კომისიას ირჩევს კავშირის საბჭო; იგი შესდგება სამი წევრისაგან და მოქმედებს საბჭოს მიერ დამტკიცებულ განსაკუთრებულ ინსტრუქციის თანახმად.

3. კავშირის საღსარი და ხარჯთაღრიცხვა

19.წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის საღსარი შეადგენს:

ა) მონაწილე საზოგადოებათა შენატანი რომლის ოდნობას განსაზღვრავს წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის საბჭო.

ბ) სუბსიდია, რომელიც შეიძლება მიეცეს წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირს ს.ს.რ. კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების მიერ.

გ) ორგანიზაციებისა და კერძო პირების შემოწირულობა და სხვა გზით შემოსული თანხა.

20.წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის

ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს კავშირის საბჭო ერთი წლის ვადით.

21.წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის საბჭოს უფლება აქვს შეჰქმნას წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის სპეციალური საკავშირო ფონდი.

4. კავშირის საქმიანობა

22.წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელი კომიტეტი საოპერაციო წლის განმავლობაში შეადგენს თავისი მოქმედების, აგრეთვე კავშირის შემოსავალ-გასავლის, ფონდების და ქონების მდგომარეობის ანგარიშს და, საოპერაციო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს ორი თვისა, სარევიზიო კომისიის დასკვნასთან ერთად, წარუდგენს დასამტკიცებლად კავშირის საბჭოს.

შენიშვნა: საოპერაციო წელიწადი იანგარიშება ოქტომბრის პირველიდან ოქტომბრის პირველამდე.

23.ანგარიში კავშირის საბჭოს დამტკიცების შემდეგ გამოქვეყნდება საყოველთაო ცნობისათვის.

24.ს.ს.სრ. კავშირის ფინანსთა სახ.კომისარიატი წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით გამოსცემს წესებს წითელი ჯვრისა და წითელი მთვარის საზოგადოებათა კავშირის ფინანსიური ანგარიშებისათვის.

ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ს.ს.რ. კავშირის სახკომ.საბჭ. საქმეთა მმართველი

მოსკოვი - კრემლი
სუიცა, ფონდი, ფ. 600, აღ.1, საქმე N399, ფურცელი 108-113

N11

1926 წ. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილის გ. ნუცუბიძის მიმართვა გაგზავნილი საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარისადმი პარიზში საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლობის გამოფენაზე მიწვევის თაობაზე

ტფილისი 25 აგვისტო 1926 წ.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს

ჩვენ მივიღეთ პარიზიდან საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლის საფრანგეთში, ამხ. რაკოვსკის ქალის წერილი, რომლის პირს აქვე გაახლებთ, საიდანაც ჩანს, რომ მას განუზრახავს პარიზში, ამ მოკლე ხანში გამოფენის მოწყობა, სადაც წარდგენილი იქნება საზოგადოთ საქართველოს ეროვნულ-ეთნოგრაფიული სახეობა და კერძოთ საბჭოთა წითელი ჯვრის საქმიანობა.

დარწმუნებული ვართ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას თქვენ მიიჩნევთ, განსაკუთრებით პარიზში, პოლიტიკურათ და სახელმწიფოებრივ

თვალსაზრისით მნიშვნელოვნად.

ვინაიდან წითელ ჯვარს არ აქვს არანაირი ფინანსური შესაძლებლობა ხსენებული დავალების შესასრულებლათ, გთხოვთ დაინახოთ საჭიროთ ჩვენთვის ამ მიზნისთვის 1.000 მან. სასწრაფოთ გადადება ან ამ საქმეს შესრულება დაავალოთ რომელიმე სხვა ორგანიზაციას, ხოლო განათლებისა და ჯანმრთელობის კომისარიატებს წინადადება მისცეთ მოგვაწოდონ დარგის შესახები მასალები გამოფენისთვის.

თავმჯდომარის მოადგ. გ,ნუცუბიძე (ხელმოწერილია)

საქმეთა მმართველი ს. ჟორჟოლიანი (ხელმოწერილია)

ფონდი 600, ან.1, საქ.588, ფურცელი 2,11

საქართველოს წითელი ჯვრის სამკურნალო განყოფილების პარიზის გამოფენაზე მონაწილეობის სქემა

1. სამკურნალო დაწესებულების სქემა.
2. სამალარიო რუქა.
3. ტროპიკულ სნეულებათა რუქა.
4. წარმოდგენილ იქნას მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი მხატვრული დიაგრამებით.

აქ იქნება წარმოდგენილი თითოეული პუნქტი დაარსებიდან დღემდე, ყოველწლიურათ გატარებულ მალარიანთა რიცხვით და დარიგებულ ქინით.

5. ხალხის ინიციატივის გაღვიძების და თვითმოქმედების წარმოდგენა მხატვრულად.

აქ შეიძლება წარმოდგვედგინა რა გააკეთა თვით ხალხმა თვითოეული პუნქტის რაიონში, პუნქტის დაარსებიდან დღემდე. (მაგ. ხაბუმე, ნაგომარი (სახლი), მანავი, აფხაზეთი, აჭარა, ბაისუბანი).

6. ჩვენი საავადმყოფოების ფოტოგრაფიული სურათები.
7. პუნქტების ფოტოგრაფიული სურათები.
8. სანიტარული მდგომარეობა ჩვენი სოფლისა და რა გაკეთებულა ამ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.
9. პოპულარული სამკურნალო გამომცემლობა.
10. დიაგრამა საერთო სამკურნალო მოღვაწეობის ზრდისა 1923 წლიდან დღევანდლამდე, როგორ დაიწყო და ყოველწლლიურად რა მოემატა.
11. ბავშვთა დახმარების ზრდა ყოველწლიურად. წინათ სპარადიული დახმარებანი, ამჟამათ-იზოლატორი,პიონერ.
12. პროვინციულ და ავტონომიერ განყოფილებათა მუშაობის ზრდა. აფხაზეთი, აჭარა, ქუთაისი, გორი, სამხრეთ-ოსეთი, გურია, სამეგრელო, როგორ იყვნენ დასაწყისში და როგორ არიან ახლა.
13. ექპედიციები, რომლებიც მოაწყო წითელმა ჯვარმა საკუთრივ და სხვისი ექსპედიციები, რომლებშიც მიიღო მონაწილეობა.

1) სვანეთში - ბავშვთა სნეულების ეპიდემიის წინააღმდეგ ექსპედიცია 1923წ.

2) მალარიის გამოკვლევა საქართველოს კურსებზე (მოაწყო სამკურნალო სამმართველომ, წითელმა ჯვარმა მიიღო მონაწილეობა პერსონალით და ხელსაწყოებით).

3) ანვილოხტომიაზის და პელაგრის გამოკვლევა - ექსპედიცია მახველაძისა მოაწყო წითელმა ჯვარმა.

4) სვანეთის ჩიყვიანების გამომკვლევი ექსპედიცია, მოაწყო ჯანსახკომმა წ.ჯ. მიიღო მონაწილეობა პერსონალით.

N12

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისიის სხდომის 1926 წლის 4 და 11 სექტემბრის N1 და N2 ოქმები პარიზში მოწყობილ გამოფენაზე საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენლობის მონაწილეობის თაობაზე.

ოქმი N1

საქართველოს ს.ს.რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სპეციალური კომისიისა პარიზში განზრახულ გამოფენაზე საქართველოს წითელი ჯვრის მოღვაწეობისა და აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო ინსტიტუტთა საქმიანობის გამომხატველი ექსპონატების გადაგზავნის შესახებ

1926 წ. სექტემბრის 4, ქ.ტფილისი.

თ ა ვ მ ჯ დ ო ა რ ე ამხ. ალ.სარალიძე.

დაესწრნენ: საქრთველოს წითელი ჯვრიდან - ამხ. კიკალიშვიშვილი და ნუცუბიძე, ჯანსახკომიდან - ამხ. აბზიანიძე, განათლების სახალხო კომისარიატიდან - ამხ. ნათიძე, მიწსახკომიდან - ამხ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიიდან - ამხ. ზ.ელიავა, საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - ამხ.მიქელაძე.

მდივანი : ვ.დარჩია

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

პარიზში განზრახულ გამოფენაზე გასაგზავნი საქართველოს წითელი ჯვრის მოღვაწეობისა და აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო ინსტიტუტთა საქმიანობის გამომხატველი ექსპონატების შესახებ.

(მომხს.ამხ.ალ.სარალიძე)

დ ა ა დ გ ი ნ ე ს:

1.ეთხოვოს საქართვოს ს.ს.რესპუბლიკის ჯანმრთეობის სახალხო კომისარიატს 10 დღის განმავლობაში დაამზადოს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს წითელი ჯვრის მოღვაწეობის გამომხატველი ექსპონატების მოდელები. დაევალოს მასვე შეაგროვოს საქართველოს საკურორტო სამმართველოსა და ტფილისის აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფლების მოღვაწეობის გამომხატველი ექსპონატებიც.

2. ეთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს სამი დღის განმავლობაში გამოარკვიოს და წარმოადგინოს ნუსხა იმ ექსპონატებისა, რომლის დამზადებაც შეუძლია მას პარიზში განზრახულ გამოფენაზე გადასაგზავნად.

3. ეთხოვოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს სასწრაფოდ გამოარკვიოს და აცნობოს კომისიას, თუ რა საგნების გადაგზავნა შეუძლია

მას პარიზის გამოფენაზე იმ ექსპონატებიდან, რომელიც წარდგენილი ჰქონდა ა/კ. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე და რომელიც ამ ჟამად ინახება საქართველოს მუზეუმში და აგრეთვე, რა საგნის გაყიდვა შეიძლება მათგან და რა უნდა დაბრუნებულ იქნეს უკან გამოფენიდან.

4. ეთხოვოს საქართველოს უნივერსიტეტის გამგეობას 10 დღის განმავლობაში წარმოადგინოს უნივერსიტეტისა და განსაკუთრებით კი მისი მედიკური ფაკულტეტის მოღვაწეობის განმაშუქებელი ექსპონატები.

5. დაევალოს ჯანსაღკომისა და წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებს - ამხ. აბზიანიძესა და ნუცუბიძეს 3 დღის განმავლობაში შეიმუშაონ და წარმოადგინონ დაახლოებით სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა პარიზში განზრახულ გამოფენაზე წარსაგზავნ ექსპონატების დამზადებისა და გადაგზავნისათვის საჭირო ხარჯის შესახებ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე
(ალ.სარალიძე) (ხელმოწერილია)
მ დ ი ვ ა ნ ი
(ვ.დარჩია) (ხელმოწერილია)

ოქმი N2

საქართველოს ს .ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სპეციალური კომისიისა პარიზში განზრახულ გამოფენაზე საქართველოს წითელი ჯვრის მოღვაწეობისა და აგრეთვე საბავშვო სამკურნალო ინსტიტუტთა საქმიანობის გამომხატველი ექსპონატების გადაგზავნის შესახებ

1926 წელი, სექტემბერი 11, ქ. ტფილისი

თავმჯდომარე: ამხ. ალ. სალარიძე
დაესწრნენ: საქართველოს წითელი ჯვრიდან - ამხ. ნუცუბიძე
საქართველოს ჯანსახკომიდან - ამხ. აბზიანიძე და
სახელმწიფო უნივერსიტეტიდან - ამხ. მიქელაძე
მდივანი: ვ. დარჩია

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

1.პარიზში განზრახული გამოფენისათვის საჭირო ექსპონატების დამზადებისა და გადაგზავნის ხარჯების შესახებ.

/მომხს. ამხ. ნუცუბიძე, აბზიანიძე და მიქაძე/

2. მიწსახკომის ექსპონატების შესახებ.

/მომხს. ამხ. ალ. სარალიძე/

დაადგინეს: 1.საქართველოს წითელი ჯვრის გამგეობის, ჯანსახკომისა და უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი პარიზში განზრახულ გამოფენაზე გადასაგზავნი ექსპონატების დამზადება გაგზავნის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნეს ექვსი ათასი / 6.000/ მანეთის რაოდენობით. აქედან 3.000 მანეთი - წითელი ჯვრის გამგეობისათვის, 2.500 მანეთი

ჯანსახკომისათვის, ხოლო დანარჩენი 500 მანეთი კი - უნივერსიტეტისათვის.

2. რადგანაც ექსპონატების დამზადება-გადაგზავნა იწვევს აუციებელ ხარჯებს, რომლის რაოდენობა სავარაუდო გაანგარიშებით 6.000 მანეთს უდრის, ეთხოვოს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გაიღოს აღნიშნული თანხა საგამოფენო კომისიის განკარგულებაში.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ახსნა-განმარტება იმის შესახებ, რომ მის მიერ მუზეუმისათვის გადაცემული ექსპონატები ერთხელ უკვე იყო გაგზავნილი პარიზის გამოფენაზე მათი ხელმეორედ გადაგზავნა თითქოს მიზანშეუწონილი იყო - ჩაითვალოს უსაფუძველად, რადგან ჩვენი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამომხატველ ყოველგვარ საგანს დიდი მნიშვნელობა აქვს პარიზში განზრახულ გამოფენისათვის, თუნდაც ეს საგანი იქ მართლაც მეორეხელ იგზავნებოდეს, მითუმეტეს, რომ იმ გამოფენის შემდეგ, როცა მიწსახკომის ექსპონატები პარიზში იყო გაგზავნილი ჩვენი ცხოვრება და მისი სახეობა ოდნავაც არ შეცვლილა.

ზემოაღნიშნულის გამო დაევალოს წითელი ჯვრის წარმომადგენელს ამხ. ნუცუბიძეს პირადად მოელაპარაკოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარს ამხ. გეგეჭკორს ზემოხსენებული ექსპონატების დათმობის შესახებ. დაევალოს მასვე მოელაპარაკოს, თუ რა ექსპონატების დაგროვება შეუძლია მას აღნიშნული გამოფენისათვის და რა დაჯდება მათი დამზადება.

თავმჯდომარე:
/ალ. სარალიძე/ (ხელმოწერილია)
მდივანი:
/ვ. დარჩია/ (ხელმოწერილია)
სუიცა, ფონდი 600, ანაწერი1, საქმე N588.

N13

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდების შეცვლის თაობაზე -1928 წლის 9 მაისი.

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 3 4

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც.საბჭ.რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წლის სექტემბრის 30-ის დადგენილებისა და საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების დებულების /საქ.სსრ.კან.კრებ. 1925 წN3,მუხ.66/ სათანადო მონაწილეობის შესაცვლელად სრულიად საქართველოს ცენ-

ტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების სახელწოდება ”საქართველოს სოც.საბჭ.რესპუბლიკის წითელი ჯვრის საზოგადოება“ შეიცვალოს ასე: “სრუალიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება“.

2. უფლება მიეცეს სრულიად საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევრმთვარის საზოგადოებას სახმარებელ ემბლემად გამოიყენოს წითელი ჯვრისა და წითელ ნახევარმთვარის ნიშანი თეთრ არეზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე (ხელმოწერილია)

საქ.სოც.საბჭ.რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე (ხელმოწერილია)

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიეტეტის მდივანი (ხელმოწერილია)

1928 წ. მაისის 9

ტფილისი-სასახლე.

სუიცა, ფონდი 284, ანაწერი1, საქმე 664.

მადლიერება. პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის N FR 19-21285, 2022-2024წწ.) - უცხოური კაპიტალი საქართველოში და დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციები XX საუკუნის პირველ მესამედში - ფარგლებში, რისთვისაც ავტორები მადლობას უხდიან შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდს.